№ 215. ოქტომბრის 6, შაბათი. 1866—1884 ოქტომბრის 6, შაბათი. № 215.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე 5 კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს აგვლორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაბეიკი.

„დროების“ ფასი ოქტომბრის 1-დან წლის დამლევამდე 3 მანათი.

არწრუნისეული თეატრი

კვირას, ოქტომბრის 7-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ხანუმა

კომედია 3-ს მოქმ. 4-ს სურათად, თხზ. ა. ცაგარელისა.

II

დილა ქოლწილის შემდეგ

მოდევილი 1-თს მოქმ. ა. მოჩხუბარიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ბაბუნია, ქორინთელი, მელიქიშვილისა, მძინაროვისა და სხვ. ბ. ყიფიანი, ნებიერიძე, მოხეევ და აწყურელი.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

მართლა რომ საყურადღებო წერილი

კავკასიის საჭილოქსერო კომიტეტისა

თბილისი, ოქტომბრის 6-ს.

ისე არა ამართლებს-რა რომელსამე აზრს, როგორც მოპირ და-პირის ამოცდა მისის გამტყუნებისათვის. ეს უცალობელი ჭეშმარიტება ამ დღეებში ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დამტკიცდა ჩვენის გაზეთის საშუალებით.

საჭილოქსერო კომიტეტს ბრალდებოდა დაუდევრობა თავის მოვალეობის აღსრულების დროს და «ძავკაზში» დაბეჭდილი პასუხით, რომლითაც იგი თავის გამართლებას აპირობდა, უფრო დაამტკიცა ყოველივე ის, რაც ჩვენს გაზეთში იყო აღიარებული.

ჩვენ დიდს ყურადღებას არ მივაქცევდით არც ჩვენს შენიშვნას და არც კომიტეტის პასუხს, თუ რომ იმისთანა საგანზე არ იყოს ლაპარაკი, რომლის უყურადღებოდ დატოვება დიდ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს, როგორც საზოგადოებას, ისე ჟურნალ-გაზეთებს. ფილოქსერა მთელს ძავკასიას ალყასავით შემორტყმია და ჩვენის ქვეყნის მსაზრდოებელი ეზის განადგურებასა ლამის; საჭილოქსერო კომიტეტს ჩაბარებული ჰყავს მთელი არმია ფილოქსერის მძებნელთა და მჩხრეკელთა და დიდ-ძალი უფლებაცა აქვს მინიჭებული, მაგრამ ეს უფლებაც უქმია და მძებნელ-მჩხრეკელნიც ვერასა ჰხდებიან, როდესაც ფილოქსერა გაბრიყვდება და რომელიმე გავლენიანი პირის ადგილ-მამულზე გაჩნდება. რომ ეს ჩვენი აზრი ნამდვილია, ამას ამტკიცებს, როგორც ჩვენი შენიშვნა, ისე თავისგასამართლებელი პასუხი საჭილოქსერო კომიტეტისა. მართლაც, სასტიკად აღკრძალული იყო მუშაობა 20 საჟენის სიახლოვეზედ იმ ადგილისა, სადაც ფილოქსერა აღმოჩნდა. სოხუმის ახლოც, რასაკვირველია, ამ განკარგულებას ძალა უნდა ჰქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ ეს ადგილები ეკუთვნოდენ იმისთანა პირებს, რომელთაც კანონი მარტო სხვებისთვის ჰგონიათ შექმნილი და არა თავიანთთვის. საჭილოქსერო კომიტეტს ამ პირების მამულზედ უფრო თვალ-ყური უნდა დაეჭირა, ვიდრე სხვებისაზედ, მაგრამ მან მაინც „ადგილობრივ არაევინ არ დასტოვა“ და მიენდო ამ კერძო პირთა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მათ ესმოდათ თავიანთი ინტერესიც და კანონის დაცვის საჭიროებაც.

რაკი აღმოჩენილა, რომ არც «თავიანთ ინტერესს გაუჭრია და არც კანონის დაცვის საჭიროებას» და ზემოხსენებულ პირთ «ეკონომიის» გამო დაუწყვიათ მუშაობა ფილოქსერიან ადგილზე, მხოლოდ მაშინ შეუდგენიათ კომიტეტის წევრებს ოქმი და თითონ კომიტეტსაც გაუმართავს „შესაბამი მიწერ-მოწერა“, რომლის შედეგზედ არაფერს არ ამბობს პასუხი საჭილოქსერო კომიტეტისა.

მაშ ასე; იმისთანა საქმეში, რომელშიაც ერთის ფეხის წაცდენას შეუძლიან მთელი მხარე უზომო უბედურობაში ჩააგდოს, ფილოქსერის კომიტეტს მეტის-მეტი ნდობა აღმოუჩენია იმისთანა პირთადმი, რომელთაც, როგორცა სჩანს, თავიანთი ინტერესიც და სხვისაც ძალიან ბუნდოვანი იყვნენ და ურიცხვი ბარგ-აკიდებული ცხენები ჭიხვინით ტოტებსა სცემდენ მიწას და აქეთ-იქით მოუთმენლად მიიზიდებოდენ.

ხალხი მოძრაობდა და რაღაცა მღელვარებაში იყო; ეტყობოდათ, რომ აქ დაბინავებას არ აპირობდენ და მალე გზად უნდა გამართულიყვნენ.

ესენი ამ ლხინში იყვნენ, როდესაც ორუსოს ხეობის ხეეულს ბილიკზედ კორიანტელი ავარდა და მომღერლების ყურადღება მიიქცია.

ქველანი გაჩუმდენ, გაიშალნენ და იმ ადგილს დაუწყეს ყურება, საიდგანაც მოჩანდა მტვერი. მტვერი თითქოს მოძრაობდა, ადგილს იცვლიდა და შეკრებილს ხალხს თან-და-თან უახლოვდებოდა.

აშკარა იყო, რომ რამდენიმე მხედარი ცხენებს მოაჭენებდა, მაგრამ ცხენების ფეხით ავარდნილი მტვერი და გზის ნაპირას მყოფი ქვები მაყურებელთ უშლიდა მომავალნი დაენახათ. ცოტა ხანმაც ამ მდგომარეობაში გაიარა და ერთს ჩამოლესილს კლდის ნაპირზედ, ერთბაშად, თითქოს მიწიდგან ამოიზარდნენო, გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი. ამ ადგილს ბილიკი ისე ვიწრო იყო, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს მომავალნი კლდიდგან ცხენებს გადმოხტომას უპირებენო; ისე ჰქონდა კლდეს ცხვირი წამოწვდილი, რომ მომავალთა სურათი ცის ტატნობზედ იხატებოდა, მედიდურს და გულის შემტაცებს ოცნებად მოგეჩვენებოდათ და გასურვებდათ მათთვის თვალი არ მოგეშორებინათ, მაგრამ სწრაფად გამოჩენილები სწრაფადვე ჩაიმალნენ ამაღლებულს ქედის უკან, ისე, თითქოს წუთზედ ამოჩენილნი, წუთზედვე მიწამ ჩანთქაო.

თუმცა ამ სურათის ცვლილება წუთზედ მოხდა, მაგრამ შეყრილის ხალხისათვის ეს მცირე ხანიც საკმარისი იყო, რომ მგზავრები ეცნო.

— ნუგზარაი, ნუგზარაი მოდის! — დაიძახა სიხარულით ხალხმა და სიამოვნების ღიმილმა გაურბინა პირის სახეზედ.

დიაღ, ეს გახლდათ ნუგზარი, რომელიც მოაჭენებდა თავის ერთგულის ოსების ურდოსკენ, სადაც პირობისამებრ ისინი უნდა მოგროვილიყვნენ, აქ შეერთებოდენ მთიულებს და საერთოს ძალით ხევზედ გალაშკრებულიყვნენ.

სიტყვა არ უნდა, რომ იმათ გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთს შუა სოლსავით შეჭედილიყო და დამეზობლებულ ხალხთათვის საშუალება მოესპო გადაუხდევინებლად საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებს დასცემოდა.

ოსებს უნდოდათ გასრესა ამ ხალხისა, რადგანაც შუაში შეჭრილი, ყოველ მხრივ მტერ შემორტყმული თავშეუწყვეტლივ იცავდა საქართველოს ალაყაფის კარს და მარჯვენივ თუ მარცხნივ მამულის სადიდებლად ბასრს «გორდას» იქნევდა.

რაღა თქმა უნდა, რომ ნუგზარის მიშველება იმათ წადილს ეთანხმებოდა და ამ ბრძოლის შემდეგ ისინი იმედობდენ, რომ ფართო ასპარეზი დარჩებოდათ თავისუფალის ავაზაკობისათვის.

«დროების» ტელეგრაფი, ოქტ. 6-ს.

ხევის ბერი

გოჩა.

(მოთხრობა *)

XVI

ორუსოს ხეობის გამოსასვლელში, სადაც ოერგი ვიწრო ხეობიდგან თავს აღწევს და ომლება ქობის გადაჭიმულს ვაკეზედ, ოსების უკანასკნელს სოფელს ოქროყანასთან საკმაოდ ხალხი მოგროვებულიყო და მხიარულის სიმღერით დროს ატარებდა. თუმცა ეს მხიარულება და განუწყვეტელი ყიჟინა ამტკიცებდა, რომ შეკრებილი ხალხი რაღაცა სიამოვნებაში იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი არც რომელსამე დღეობას შეეყარა, რადგანაც არც ერთი ქალი არ მოჩანდა მათ შორის, და არც რომელსამე სახალხო დროს გატარებას; ყველანი თავიდგან ფეხამდის შეჭურვილ-

*) იხილე «დროება» № 210.

გადაიტანა. პალატაში ოქტომბრის 4-ს ხელმეორედ გაირჩა საქმე, ბ. Cისკაროვი გამტყუნდა და სასამართლოს ხარჯიც მას აკისრებინეს. ამ საქმის თაობაზედ დაწვრილებით მალე მოვილაპარაკებთ.

ბ. Cისკაროვი ამასაც არ დასჯერდა და ერთი წინდაუხედავი წერილი დაბეჭდა გაზეთს «Cაკავაზში».

═ Cიდევ სალიტერატურო ამბავი: ბ-ნ მურიეს უკისრნია დაბეჭდვა გრაჭი ბობრინსკისაგან გადაღებულის «ვეფხვის-ტყაოსნისა» ფრანცუზულს ენაზედ. Cოველად-უსამღვდელო Aლექსანდრეს განუზრახავს Sაბა-Sულხან Oრბელიანის Eვროპაში მოგზაურობის დაბეჭდვა. Eს მოგზაურობა, როგორც ვიცით, დაბეჭდილია «Cისკრის» ნომრებში 1852 წ. (№№ 1, 2, 3 და 4), მაგრამ, სამწუხაროდ, სრულად არ არის დაბეჭდილი. Dასაწყისი, როგორც მაშინდელის „Cისკრის“ რედაქტორის Oმ. ბ. Eრისთავის შენიშვნიდამ სჩანს, ვერ უპოვნიათ. Aმისათვის ბეჭდვა დაუწყია იმ ადგილიდამ, საცა Zენევაზეა (Zენუა) ლაპარაკი. ჩვენ ვნახეთ ერთი ხელნაწერი „მოგზაურობისა“, მაგრამ ისიც, საუბედუროდ, სრული არ არის: თავი აკლია და იწყობა იმ დროდამ, როცა Sაბას საფრანგეთი დაუტოვებია.

Sასურველი იქმნებოდა, რომ პატივცემულს ეპისკოპოსს მოეპოვებინა სადმე სრული და უკეთესი ვარიანტი «მოგზაურობის» ხელთ-ნაწერისა მეორედ დაბეჭდვისათვის.

„Eისრამიანის“ რედაქციას, როგორც ამბობენ, „ძალმასობის“ დაბეჭდვა აქვს აზრადაო. Oვით «ძალმასობის» შესახებ ჩვენ ამას წინად გვქონდა ლაპარაკი მკითხველთან და ეხლა საჭიროდ აღარა ვსთვლით სიტყვა გავაგრძელოთ.

Aმბობენ, რომ „ვეფხვის-ტყაოსნის“ დამბეჭდველს კომისიას, ჰქონია სხდომა განვითარებულ და საქმის მცოდნე პირთა (მურიე, ბარონ Sუტნერი და სხვ.) თანა-დასწრებით და გადაუწყვეტია, რომ სურათები, რომელნიც მხატვარმა ზიჩიმ უნდა დახატოს, დაბეჭდილ-იქმნან უსათუოდ უფერადებოდ. Aრსად Eვროპაში არც ერთი საუკეთესო გამოცემა ფერადი სურათებით არ იბეჭდებაო, უთქვამთ იმათ.

═ Aმ დღეებში Sოლოლაკში, Oთაროვის სახლს, ერთი პაწაწინა დუქნიდგან ცეცხლი გაუჩნდა. Oუმცა ცეცხლი მალე იყო შემჩნეული და გაქრობილი, მაგრამ ცეცხლის წაკიდება ისე ხშირადა ხდება ხოლმე ჩვენს Oბილისში, რომ მეტი არ იქნებოდა განსაკუთრებითი ყურადღება მიჰქცეოდა ამ საგანს.

Sადაც ცეცხლი პირველად გამოჩნდა, იმ დუქანში საქონელი თხუთმეტ-თექვსმეტ თუმნისა ძლივს იქნებოდაო, ამბობენ, და დამზღვეველ საზოგადოებაში კი იყო შეტანილი და დაფასებული 1500 მანეთადაო!

═ Sაზოგადოდ Sაქართველოს სხვადა-სხვა ადგილებს სიცივეს უჩივიან და იწერებიან, რომ ღვინოები წახდა და მჟავე გამოვიდაო. Yველაზედ მომეტებულად ეს შემთხვევა ქახეთისათვის არის საგრძნობელი, რადგან იმის კეთილდღეობა უმთავრესად ღვინის მოსავალზედ არის დამოკიდებულიო.

═ Dადგება თუ არა ღვინობისთვე, ეგრედ-წოდებული ქართველების მეიდანი, Oბილისში (იარმუკაზე), გაივსება ხოლმე ოსებით, რომელთაც მოაქვთ გასასყიდად: ხილი, ლობიო, ყველი და სხვ. უნდა კაცი თითონ იყოს მოწამედ იმ შეურაცხყოფისა, რომელსაც თბილისელი ვაჭრები მიაყენებენ ხოლმე ამ საწყალ «მთის შვილთ», რომ ცხადად წარმოიდგინოს, რა მდგომარეობაში სცხოვრობენ ეს უპატრონონი. Sულ ორი-სამი მანათის გულისთვის მოდიან ეს საცოდავნი, ვინ იცის, საიდამ და აქაც ულმერთოდ ეკიდებიან გაუმაძღარნი ჩარჩები და კინტოები. Rიგია მიაქციოს პოლიციამ ამ საგანს განსაკუთრებითი ყურადღება.

═ Gაზ. «Kასპიი» გვატყობინებს, რომ ოქტომბრის 26-ს Bაქოში დანიშნულია კრება ნავთის მწარმოებელთა. Sხვათა შორის, ამ კრებაზედ იქნება თურმე მოლაპარაკება შემდეგს საგანზედ. ნავთის მეფეს ნობელს სრულიად შეუსყიდნია არა თუ მარტო ნავთი წვრილ მწარმოებელთა და ზოგ დიდ მწარმოებელთაგანაც, არამედ გოგირდის მჟავეც, რომელსაც კი Bაქოში აკეთებენ, ან Rუსეთიდამ მოაქვთ. უამმჟავეოდ კი შეუძლებელია კეროსინის წარმოება. ნავთის მწარმოებლები ამ გვარად ძნელს მდგომარეობაში ჩაცვინულან და განზრახვა აქვთ თურმე საკუთარი გოგირდის მჟავის ქარხანა გამართონ.

═ Gაზ. «Kავკაზის» 222-ს ნომერში დაბეჭდილია მოკლე წერილი Aლ. B—სი, რომელიც Sპარსეთის ოკულისტზე (თვალების ექიმზე) ამბობს, რომ ამ პირს პეტერბურგის საექიმო კომიტეტის მოწმობა აქვს და, მაშასადამე, ქურდულად არ ექიმობსო. Aმ წერილის აზრით გამოდის, რომ ყველა ადგილობრივმა ექიმებმა ამ გვარი მოწმობა უნდა იქონიონ. Rასაკვირველია, ავტორის აზრი თეორიულად სრულს ჭეშმარიტებას შეადგენს და სასურველი იყო, რომ ყოველ ადგილობრივს ექიმს, რომელიც სამედიცინო სასწავლებელში არ განვითარებულა, — მოწმობა ჰქონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, Eიტორს Aვიწყდება რამდენი გაჭირვება-დახარჯვა ამ გვარი მოწმობის მიღების მსურველს.

Rვენში მრავალნი სწამლობენ, და ძალიან კარგადაც, ჭრილობას, წითელ ქარს, თიადორას, ბუასილს, ცოფს, მოტეხილს, ნაღრძობს და სხვა, მაგრამ მათ არავითარი საშუალება არა აქვსთ მოწმობა მიიღონ, რადგანაც პეტერბურგში და მოსკოვში გამოსაცდელად წასვლა უსაშუალობის გამო არ შეუძლიანთ და Oბილისს, Dუთაისს და Vლადიკავკაზს ძნელად იპოვებიან ისეთი ნასწავლი ექიმები, რომ ქვეყნის სარგებლობისთვის სხვას იმ წამლობის ცოდნის მოწმობა მისცენ, რომელიც მათ ქვეყნის ცარცვის ნებას აძლევს... Rვენ ცოტა მაგალითები არ ვიცით, რომ ზოგიერთს ამ გვარს ნასწავლს ექიმებს თავიანთ ავადმყოფების კითხვაზედ უპასუხნიათ: „ღარიბებისგან ვიზიტისთვის ხუთს მანათს ვიღებთო“!!.

„Dრ ო ე ბ ი ს“ კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

Dრ. ხ ო ლ ნ ი, სექტემბრის 30-ს. Aმ ჟამად აქაც დიდი ფაცაფუცია. ჩვენც ძლივს მარაქაში გავერიეთ. Aმ თორმეტი წლის წინედ ხონში არავითარი სასწავლებელი არ იყო, დღეს კი რამდენიმეა. Wინად გაიხსნა ორ-კლასიანი ვაჟების სასწავლებელი; იმას მოჰყვა სამსწავლებლო სემინარია; იმის შემდეგ გაიხსნა ქალების ერთ-კლასიანი სასწავლებელი; ეხლა კიდევ, ზოგიერთა პირების მოღვაწეობით, იხსნება მეორე ქალების ერთ-კლასიანი სასწავლებელი. მალე რკინის გზაც იქნება; მასთან ერთად წყლის გამოყვანასაც აპირებენ შუა ქალაქში. ეხლა კიდევ ვილაც ერთი შეძლებული კაცი აპირობს Dუთაისისა და

Oსებს ძალიან გაეხარდათ ნუგზარის დანახვა, მაგრამ მისგან ისე ცოტა ხალხით მოსვლა მაყურებლებს მეტად აკვირვებდა, რადგანაც ნუგზართან ერთად მთიულებსაც მოელოდენ; ოსებმა სრულიად არა იცოდენრა მთიულების შინ დაბრუნებისა, რადგანაც უკანასკნელები პირ-და-პირ Lომისის მთაზედ გადასულიყენენ და Oქრო-ყანას მოგროვილ ოსებს ველარ შეხვდებოდენ.

— მარტო რად მოდის? საკვირველია, Rვთის მადლმა! Iძახდენ ოსები, მაგრამ ისევ მალე მშვიდდებოდენ ზოგიერთების პასუხით:

— Aლბად ჯარი უკან მოდის და ეგ-კი თავდარიგის მისაცემად წინ წამოსულა.

Aმ სიტყვების შემდეგ ოსების ურდოდგან განცალკევდა რამდენიმე გამორჩეული მხედარი, ამხედრდა და თავს-ბრუ დამხვევის სისწრაფით ნუგზარის მისაგებებლად გაჰქუსლა.

Yველანი მიაჭენებდენ სიმღერით, თოფის სროლითა და ყიჟინით და თან-და-თან უახლოვდებოდენ Eრისთავს, რომელსაც ამხანაგებთან ერთად მთის ბილიკებიდგან ჩამოსვლა მოესწრო და გათკვირებულს ცხენს, მთლად ოფლში გაქანებულს, მოაქროლებდა.

Oსები და ნუგზარ გაექანენ ერთმანერთისკენ და ცხენებს ჯილავი მხოლოდ მაშინ მოსწიეს, როდესაც მათი შუბლები თითქმის ერთმანერთ შეეხო. პირ-დაღრენილი ცხენები, უკან მოაწყდენ, უკანა ფეხებით ჩაიჩოქეს და გაქვავებულებსავით შესდგნენ.

— Dა ჭანდაგ რასტ! (გზა მშვიდობისათ) მიესალმა ნუგზარ და პასუხად მიიღო.

— Dა ყუტა რასტ!

— სხვა?!. როგორა ხართ, რასა იქთ?

— Kარგად ვართ Rვთისა და შენის წყალობით.

— ჯარი მოგროვდა?

— მოგროვდა; ყველანი იქ არიან, — უპასუხა ერთმა, რომელიც მოსულს ოსებში თაობდა.

— ხომ არავინ დაჰკლებია? — მზრუნველობით კითხულობდა ნუგზარ და ცდილობდა მხიარულად სჩვენებოდა, თუმცა შუბლი შესჭმუხნოდა და პირისახეზედ მწარე დუმილის ბეჭედი დასტყობოდა.

— Oუ კი შენ დაუძახებ, უარს ვინ იტყვის? — „Mოუქასურა“ ოსმა და დუმატა: — ყველანი აქ არიან, შენი ჭირიმე, ყველას შენი სამსახურისთვის თავი გადაუდვია.

ნუგზარს სიამოვნების ნაპერწკალმა გაურბინა გულში, სახე რაოდენადმე გაულიმდა, მაგრამ მაშინვე ისევ გაფითრდა, შუბლი შეიჭმუხნა.

— Mადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ნავრუზ!

— Uბა რა მადლობას მიბძანებ, შენი ჭირიმე, შენი სამსახურის ღირსიც-კი არა ვართ, არა ჩემა მზემ!.. არა, ბიჭებო? — მიუბრუნდა ოსებს.

— ჰაი, ჰაი, რო აგრეა, — დაუმოწმეს სხვებმა. ნუგზარ გაჩუმდა, რადგანაც მისი გონება მეტად სატანჯავს საგანს დაეკვირდა, მისი მდგომარეობა ადვილი არ იყო, რადგანაც ოსების გულადობა მხოლოდ მთიულების დაამხანაგების გამო წარმოსდგებოდა და მაგრამ, სამწუხაროდ, Eიტორს Aვიწყდება რამდენი გაჭირვება-დახარჯვა ამ გვარი მოწმობის მიღების მსურველს.

Rვენში მრავალნი სწამლობენ, და ძალიან კარგადაც, ჭრილობას, წითელ ქარს, თიადორას, ბუასილს, ცოფს, მოტეხილს, ნაღრძობს და სხვა, მაგრამ მათ არავითარი საშუალება არა აქვსთ მოწმობა მიიღონ, რადგანაც პეტერბურგში და მოსკოვში გამოსაცდელად წასვლა უსაშუალობის გამო არ შეუძლიანთ და Oბილისს, Dუთაისს და Vლადიკავკაზს ძნელად იპოვებიან ისეთი ნასწავლი ექიმები, რომ ქვეყნის სარგებლობისთვის სხვას იმ წამლობის ცოდნის მოწმობა მისცენ, რომელიც მათ ქვეყნის ცარცვის ნებას აძლევს... Rვენ ცოტა მაგალითები არ ვიცით, რომ ზოგიერთს ამ გვარს ნასწავლს ექიმებს თავიანთ ავადმყოფების კითხვაზედ უპასუხნიათ: „ღარიბებისგან ვიზიტისთვის ხუთს მანათს ვიღებთო“!!.

„Dრ ო ე ბ ი ს“ კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

Dრ. ხ ო ლ ნ ი, სექტემბრის 30-ს. Aმ ჟამად აქაც დიდი ფაცაფუცია. ჩვენც ძლივს მარაქაში გავერიეთ. Aმ თორმეტი წლის წინედ ხონში არავითარი სასწავლებელი არ იყო, დღეს კი რამდენიმეა. Wინად გაიხსნა ორ-კლასიანი ვაჟების სასწავლებელი; იმას მოჰყვა სამსწავლებლო სემინარია; იმის შემდეგ გაიხსნა ქალების ერთ-კლასიანი სასწავლებელი; ეხლა კიდევ, ზოგიერთა პირების მოღვაწეობით, იხსნება მეორე ქალების ერთ-კლასიანი სასწავლებელი. მალე რკინის გზაც იქნება; მასთან ერთად წყლის გამოყვანასაც აპირებენ შუა ქალაქში. ეხლა კიდევ ვილაც ერთი შეძლებული კაცი აპირობს Dუთაისისა და

კარგად იცოდა, რომ, თუ იმათ მოშორებას თრუსოელები გაიგებდენ, მათი დაჭერაც ძნელილა იქნებოდა.

Mაშ როგორ მოქცეულიყო, რომ ოსები არ შემოჰფანტოდა და მათზედ გავლენა არ დაეკარგა, როდესაც ეს უკანასკნელები ჭეშმარიტებას შეიტყობდენ? Oთქვა ყველაფერი პირ-და-პირ, თუ დროსთვის მოეცადნა?

Aი ეს იყო ის მწარე ფიქრები, რომელთ გადაწყვეტასაც ნუგზარის მთელი არსება შეეპყრო და, ყოველთვის ამაყად მოსაუბრისთვის, დღეს პირში სიტყვა გაეწყვიტა.

— Mართლა, შენი ჭირიმე, Sულ არ დამავიწყდა, — დაიწყო ნავრუზამ.

— Rა ამბავია? — მოკლედ იკითხა ნუგზარმა.

— Lეკებში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა!

— Dაბრუნდა?! Sად არის? მიჩვენე ჩქარა! მოუთმენლად წამოიძახა ნუგზარმა და თვალები გაუბრწყინდა.

— Iქ, ბინაზე არის.

— Rა ამბავი მოიტანა?.. Mითხარ, მითხარ ჩქარა!..

ხონის შუა «კონკის» გაყვანას, რადგანაც ხალხი, წამსვლელი აქეთ-იქით, ბევრია; ფაეტონები და დილიჟნები ვერ ასდიან მათ წაყვანწამოყვანას. ხიდი გუბის წყალზე რკინისა უნდა გაკეთდესო, რადგანაც «კონკა» იქნებაო. ოქრს თუ სამს პირს კიდევ უთხოვნია გუბერნატორისთვის ერთი ბატალიონი სალდათების დაყენება ხონში, იმიტომ, რომ ხორაგეულობა ბევრი გასაღდებაო; ხონის მახლობლად სოფლებში ხუმლა ბევრი მოდისო და ხალხმა ეს წლის მონაწიერი ვერაფერში ვერ გამოიყენა და როცა სალდათები იქნებიან, მაშინ ცოტას რასმეს გამორჩებიანო. ასე რომ, მაღე თუ გვიან, ხონი არ ჩამოუვარდება თუ გინდ პარიჟის რომელსამე მიყრუებულს უბანსა და კვარტალს.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან სიჩუმეა ხონში: არც წარმოდგენები, არც საღამოები, არც სიმღერები და არც საღამოობით სეირნობა. მარტო ცოფიანმა ძაღლებმა ლამის დაგვჭამონ; გოჭებიანმა ღორებმა ქუჩები სულ ერთიანად დახნეს, მაგრამ ვინაა კაცი? პოლიციას თვალით ვერ ვხედავთ და სხვა ვინ მოვა, რომ ჩვენი საჭიროება გაიგოს. ერთი სიტყვით ძალიან მოწყენილობაა ეხლა ხონში. სხვა არა იყოს-რა მარტო „მად-მოაზელები“ შეგვიწუხდენ და წამ-და-უწუმ იმას გაიძახიან: «რა სკუჩნობაა» ამ დაქცეულ ხონშიო. ლატარიები კი ხშირად არის, მაგრამ რაღა ლატარიები, რომ ჩვენ ამის მეტი აღარ შეგვიძლიან დაგვაძრეს ტყავი; კვირაში სამს მაინც გაათამაშებენ, ერთ ლატარიაზე რომ მიდიხარ, იქვე მეორეზე ხელს გაწერინებენ და სხვა.

ამ ხონის დეპუტატმა ივ. შარაშენიძემ ხომ სულ წაიღო ილაჯი. აქაო და ერთი სასწავლებელი დავაარსეო, იმის გამო შეაწუხა ყოველი კაცი. მართალია, სწავლა კარგია, მაგრამ არც ასე ყველფა და ფცქვნა იქნება ხალხისა. აქაურებს რომ ილაჯი გაუწყვიტა, ეხლა მოსულებს მიჰყოხელი; სულ ქუჩაზე დგას და თუ ვინმე უცხო შემოვიდა, მაშინვე გლახაკსავით დაელრიჯება და შემწეობას სთხოვს სკოლისათვის. რაც მან ეს სკოლა გახსნა, ვერ გაუბედნიათ ხონში ჩამოსვლა ვერც სცენის მოყვარეებს, ვერც მომღერალს და ვერც არავის სხვას. როგორც კი გაიგებს ჩვენი ივ. შარაშენიძე, რომ ვინმე მოდის ხონში და წარმოდგენას აპირებსო, მაშინვე გაიქცევა და ორი ვერსით წინ შეეგებება, დაელრიჯება, რომ წარმოდგენისთვის ჩემ სკოლას დაგითმობო და ნახევარი შემოსავლისა სკოლას შესწირეო; ისიც ძალაუნებურად უნდა დათანხმდეს, რადგანაც სხვას ვერავის იცნობს.

ამას წინად ვიღაც ერთი დაგლეჯილი და დაფლეთილი ჯამბაზი ჩამოვიდა ხონში; გაუჩნდა ივანე ამ საწყალ ჯამბაზს, მოატყუილა და პირველად წარმოადგენინა თავის სკოლაში სკოლის სასარგებლოდ. მეორედ წარმოდგენა ამ ჯამბაზმა იმავე სკოლაშივე გამართა თავის სასარგებლოდ, მაგრამ სრულიადაც არავინ მიეკარა; მეორედ კი არა, პირველადაც არავინ მისულა; შეიქმნა სასტიკად მოტყუებული საწყალი ჯამბაზი; სიმშილით ამოწყდებოდა ცოლშვილით, თუ მალე არ დაელწია თავი ხონიდამ. მითქმის ასევე მოუვიდა ჩვენს ქართველ მომღერალს ბ. ძორიძეს, რომელიც ამ მოკლე ხანში იყო ხონში.

ბიბინა.

უცხოეთი.

—

ინგლისი. ინგლისის მმართებლობას ბერინგისაგან მიუღია დეპეშა, რომელიც ამტკიცებს ბერბერის წართმევის ამბავს. ბორდონმა, — ამბობს დეპეშა, — დაიპყრო ქალაქი ხანგრძლივი ზარბაზნების სროლის შემდეგაო. აჯანყებულები და მათი მომხრე მცხოვრებლები გაიქცნენო.

ავსტრო-უნგრია. სექტემბრის 20-ს უკიდურესი მარცხენა მხარის კლუბს ჰქონია სხდომა, რომელზედაც გადაუწყვეტიათ დანიელ ირანის დასთან სამუდამო შეერთება. ამ ჯგუფს ამას იქით ეწოდება: «დამოუკიდებელი დასი 1848 წლისა.» ამავე სხდომაზედ ხსენებულს დასს დიდ-ძალი ხმის უმრავლესობით მიუღია დეპუტატი პავლე ბოიტშის მიერ შედგენილი პროგრამა. უმთავრესნი მუხლნი ამ პროგრამისა შემდეგნი არიან: უნგრიას მხოლოდ მაშინ შეუძლიან წარმატებაში წასვლა, თუ მინიჭებს თვისს უწინდელს კანონიერს სახელმწიფოებრივს დამოუკიდებლობას. უნგრიას უნდა ჰქონდეს ყოველივე თვისებანი დამოუკიდებელი სეხალმწიფოისა, მას უნდა ჰყვანდეს საკუთარი ჯარი და ჰქონდეს საკუთარი საფინანსო მმართველობა, იგი თვით უნდა განაგებდეს თვისს დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოებთან; ხოლო მისი დამოკიდებულება იმპერიის სხვა მაზრებთან ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა მაზრებს ჰყვანდეს ერთი გამგე — იმპერატორი ანუ მეფე. აქედგან ის გამოდის, რომ უნდა მოისპოს დელეგაციები. ეს დამოუკიდებელი უნგრია დაიცვავს თავის სამზღვრებს და იმავე დროს პატივით და თავაზით მოეპყრობა მეზობელ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასაც, რადგან გულ-წრფელად ჰსურს მას ყველასთან მეგობრული და მშვიდობიანი ცხოვრება. ამ დასს მტკიცედ უჭირავს პირობა (ხორვატიასთან) 1868 წლისა და თხოულობს, რომ ის არა გზით არ დაირღვეს. დასი ყოველთვის ინდივიდიალური თავისუფლების მოსარჩლე იქნება და დაიცვავს მას ძალადობისაგან. მას ჰსურს სარწმუნოებრივი თავისუფლება ყველა მისი შედეგებითა, ჰსურს აგრეთვე ბეჭედის თავისუფლება, ყრილობის თავისუფლება და მოსპობა ყველა პრივილეგიათა, რომელნიც თავისუფლებას არ შეეფერებიან. დასსა ჰსურს მადიარული ენისა და ხალხოსნობის გაძლიერება, მაგრამ ძალადობით კი არა. მას ჰსურს აგრეთვე დაუმკვიდროს სხვა ხალხებსაც თავისუფალი კულტურა ენისა და ხალხოსნობისა. დასი ყოვლის ლონის ძიებით ეცდება შეუმსუბუქოს ხალხს გაჭირვებული ცხოვრება და გააუმჯობესოს მცირე მამულის-მფლობელთა კეთილ-დღეობა. მუშების ბედზედაც ჰფიქრობს დასი და სცდილობს გააუკეთესოს მათი მდგომარეობა, მაგრამ ისე კი, რომ არ შეირყეს დაარსებული სოციალური წესი და, უმეტესად, საკუთრების უფლება. ბოლოს დასსა ჰსურს, მაგნატთა პალატა, მაგრამ ისეთი კი, რომ მმართებლობას არ ემორჩილებოდეს და იმავე დროს არ შეეძლოს წარმატების დაბრკოლება.

— ხორვატიის სეიმი სექტემბრის 30-ს გახსნილა და თითქმის ყველა წევრები დასწრებიან. მათ შორის წარწინებული წინამძღომელი უკიდურესი მსრცხენა მხარისა, დავით სტარჩევიჩიცა ყოფილა. ზაგრების ქუჩებში, სადაც კი მას გაუვლია, ყველგან დიდი ოვაციები გაუმართავთ მისთვის. ესრედ წოდებულს «ზემო» ნაწილში ხალხი ყვავილებს თურმე ესროდა მისს ეტლს და მაღალის ხმით გამარჯვებას უნატრიდენ. ასეთივე აღტაცებით მიჰგებებიან სტარჩევიჩს თვისნი მომხრენი სეიმის დარბაზში. როდესაც სეიმიდგან გამოსულა, იქაც დიდ-ძალი ხალხი დაჰხვედრია ძახალით: „სტარჩევსჩს გაუმარჯოს!“ ესეთივე ამ-

---

— ლეკებიც ამალამ გადმოვლენო, — უთხრა ოსმა და ნუგზარ სიხარულით აინთო.

— მართალს ამბობენ, მართალს?! დაფანტვით მივარდა ოსს, მაგრამ სა ჩქაროდ თავი შეიკავა, გასწორდა, გაიმართა ცხენზედ და კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა: — «ახლა კი მე ვიცი».

ამ წუთის შემდეგ ნუგზარ ისევ გამოიცვალა და თუ წელან რაღაცა მოლბობილი და თავ-მდაბლობის კილო გამოითქმოდა მის საუბარში, ეხლა სრული მბრძანებელი შეიქნა.

— მაშ გავწიოთ ბინაში და ხვალ მოხევეთა მზე დავაბნელოთ!

ეს წარმოსთქვა, შეიბერტყა, გასწორდა და გაათამაშა ცხენი მათრახის შემოკვრით. წუთს შემდეგ ისინი ოქრო-ყანის ბანაკში გაჩნდენ და ნუგზარ მბძანებლობდა სრულის თავის მედიდურობით.

XVII

ნუგზარის მოძრაობა მოხევეთათვის ფარულად არა რჩებოდა, რადგანაც ერთის მხრით ოსებს უთვალ-თვალებდენ თავ-გამოდებული მოხევეები, რომელნიც უშიშრად ხან საიდგან მოექცეოდენ მტრის ჯარს და ხან საიდგან, დაწვრილებით ტყობულობდენ მათს მდგომარეობას და მოძრაობას და ყოველ დღეე ხევის ბერს ზოჩას უამბობდენ; მეორეს მხრით ენის ტანტალს დაჩვეული ოსები საიდუმლოს ვერ ჰფარავდენ და ყოველ ამბავს სიხარულით თითო კანძ მატყლად ჰყიდდენ.

ერთს საღამოს მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც ზოჩამ შემოიკრიბა თავისი ხალხი და დამწყალობების შემდეგ დაიძახა.

— ხალხო და ჯამაათო! ნუგზარის განმთიულების გაშორებამ ომი თავიდგან არ აგვაცილა... მათ მაგიერ ნუგზარს ლეკის ჯარი მოსვლია... რაისთვი დაგიმალოთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების. ბევრის დედაი ჩაიცვამს შავსა, ბევრი მშობელი გულში ველარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად რომ მტერი ძლიერია და ნუგზარ-კი სისხლით გაუმაძღარი... იცოდეთ, სახუმრო საქმე არაა, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების, რამდენადაც საქმე გაჭირდების, იმდენაც გამარჯვებას მეტი ფასი ექნების... რაი ვუყოთ, რომ ერთზედ ათი მოვა?!.. ასიც რომ მოვიდეს, მაინც გამარჯვება ჩვენი იქნების, იმად რომ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლში, ჩვენ გვიპირებენ აკლებას, ჩვენს დედაკაცებს გაწბილებას და ამ გვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდილი, ღვთის მადლმა, სანეტარო-ც არის!.. მინა ხართ ბედნიერი, ვის გიცემსთ ქუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი?.. ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის!

— დედამც შეურთამს ცოლადა, ვინც კარ მომდგარს მტერს გამოექცეს, ვინც სიკვდილს შეუშინდეს... მოლალატეს რისხავდეს სამება!

— «ოქ-ომენ»! იყო საერთო გრგვინვასავით პასუხი, რომელიც ახლო მყოფმა მთებმა ბანსავით რამდენჯერმე გაიმეორეს. ხალხი აღელდა და აიშალა, ზოჩას თვალებს-კი ცრემლი მოერია და გულმა ველარ გაუძლო, რომ შურით არ წამოეძახნა.

— ნეტავი თქვენ, რომ ყმაწვილები ხართ, ჯანი და ლონე გერჩისთ. ნეტავი თქვენ, რომ იბრძოლებთ.

ნეტავი იმას, ვინც ამ გვარს საქმეში მოკვდების, სასუფეველის გზა გაკაფული აქვს.

ამ სიტყვების შემდეგ ყველანი შემოჯგუფდენ საყდრის გალავნის კედელთან, სადაც საარაყე ქვაბებში საკლავები იხარშებოდა, რათა საერთო პურის ჭამის დროს ერთმანერთს გამოსალმებოდენ და თავიანთ ადგილებზედ გასულნი თავის მოვალეობას შესდგომოდენ: ვინ იცის, ხვალ ვისი მზე დაბნელდებოდა, ვისი თვალი დაიხუჭებოდა სამუდამოდ, ვისი დედა ატირდებოდა მდულარე ცრემლით.

ს. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

ბავი ყოფილა, როდესაც სტარჩევიჩი ეკლესიიდგან გამოსულა, სადაც ის პარაკლისზე დასწრებია. აღარებელი ხალხი მიჰყოლია მას სასტუმროამდინ, რომელშიაც მდგარა იგი. მაგრამ უწესობა არა მომხდარა-რა. ეს ოვაციები პეშტში ძრიელ სწყენიათ, რადგან აშკარად ამტკიცებენ, რომ ხორვატიის სეიმის უკიდურესს მარცხენა მხარეს, რომელიც ელტვის სრულს თვითმყოფობას ხორვატიისას და, მაშასადამე, შენგრიისაგან განცალკევებას, ასე თანაუგრძნობს ხორვატიის ხალხი.

— ვენის გაზეთები იწერებიან, რომ ამ დღეებში ლვოვის სეიმის რუს წევრებს შეუტანიათ წინადადება, რომელიც ბალიციელი რუსების გათანასწორებას თხოულობს სახალხო განათლების საქმეში. რუსის პატრიოტები თხოულობენ, რომ იმ ადგილებში, სადაც პოლიაკები და რუსები სცხოვრობენ ერთად, რუსულ ენაზედ ასწავლონ ყმაწვილებს საგნები, თუ სულ ყველგან არა, ერთ-ერთს სახალხო სასწავლებელში მაინც, და რომ ესრედ წოდებულს პარალელურს კლასებში კი სწავლა უთუოდ რუსულ ენაზედ მიდიოდესო. „ნეტა ვიცოდეთ, — იწერება ერთი ვენის გაზეთთაგანი, — როგორ შეხედავენ ბალიციელი პოლიაკები რუსების ამ ფრიად საფუძვლიანს და კანონიერს მოთხოვნილებას და როგორ განახორციელებენ შერიგებას ბოლიციელ რუსებთან, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ პოლიაკების დეპუტატები.“

გერმანია. თუმცა მკაცრად მოქმედობს გერმანიაში სოციალისტების შესახებ კანონი, მაგრამ სოციალ-დემოკრატების დასს მაინც კიდევ დიდი იმედი აქვს თურმე, რომ რეიხსტაგის წევრთა მომავალს ამორჩევებზედ ისინი გაიმარჯვებენ და რამდენსამე მეტს სადეპუტატო ადგილსაც მოიპოვებენ. ამასვე ჰფიქრობენ ამ საგანზე თითქმის წინაალმდეგ დასთა გაზეთებიც კი.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ოქტომბრის 5-ს

ბერლინი. ხალხთა-შორებრივი კონფერენცია, იმ სახემწიფოთა ურთიერთობის განწყობისათვის, რომელთაც საერთო ინტერესი აქვთ მდ. კონგოს მიდამოთა მფლობელობის საქმეში, შეიკრიბება აქ ნოემბერში. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევენ იმ სახემწიფოთაც, რომელთაც პირ-და-პირი ინტერესი არა აქვთ ამ საქმეში და მათ რიცხვში რუსეთსაც.

ჰანოი. ჩინელები ლტოლვილ იქმნენ და მირბიან თავ-გზა დაბნეულნი; მრავლად მოკლულთ რიცხვში იმყოფება მთავარ-სარდალი და მანდარინები. ხმა ისმის, რომ ტონკინში ჩინელი ახალი ჯარები შევიდენო.

პარიჟი. ტონკინში გამარჯვებანი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ; სენატმა მადლობა გამოუცხადა ჯარებს. გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ ომი მხნედ უნდა იქმნას წარმოებული, რათა ჩინეთი იძულებული შეიქმნას და მშვიდობიანობის ჩამოგდება ითხოვოს.

პეშტი. დეპუტატთა პალატაში ტისსამ განაცხადა, რომ გერმანიასთან კავშირის საგანი მშვიდობიანობის დაცვა და მეზობელ სახემწიფოებთან და უპირველესად რუსეთთან მეგობრულის ურთიერთობის განგრძობა არისო; გერმანიასთან ჩვენი დამოკიდებულობის დედა-აზრი არის საერთო ძალით წინააღუდგეთ გარეგან საშიშროებას; სკერნევიცში იმპერატორთა მოლაპარაკება ამტკიცებს, როს ამ გვარი მისწრაფებანი რუსეთში მიღებულ იქმნა დიდის თავაზიანობით.

ვანცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

სამი კომედია

ა. ცაგარლისა

ფასი 60 კაპ.

თბილისს: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შაგერდოვის სააგენტოში.
გორში: მარიან ვერესელიძესთან.
ცხინვალში: ქეთევან ყურულთან.
ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მოსე ნათაძესთან.

გამოვიდა და ისყიდება თბილისის უმთავრესს წიგნის მაღაზიებში მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური

ლექსიკონი

მცენარეთა, ცხოველთა

და

ლითონთა

სამეფოებიდგან, შედგენილი თავ. რაფ. ერისთავისაგან. — ფასი ადგილობრივ ორი მანათი. (10—5)

თელავის დამზოგველი საზოგადოების მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამავე საზოგადოების «დეპო» მიიღებს გასასყიდად ყოველ-გვარ **ქართულს წიგნებს.** გასაყიდული წიგნების ფულს, წიგნის პატრონი მიიღებს მუდამ იანვრის თვეში, წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, 10% გამორიცხვით «დეპოს» სასარგებლოდ. (10—5)

დაიბეჭდა და ისყიდება, თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის წიგნის აღაზიებში

საქართველოს

მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კაპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად. (10—8)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დედანი ქართული წერილა, სურათებით, შედგენილი იაკობ ბოვდანოვიჩისგან, დაბეჭდილი და ისყიდება გამომცემლის ზაკარია ბრიქნერის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, დაედანა დაეთმობა ხუთ შაურად. ეგრეთვე ისყიდება იქვე და სარქისოვის მაღაზიაში ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი **დახაზული ძველი,** თაბახი კაპეიკ-ნახევარად. ოფიცერები მზადდება და ფლირება: ოქრ-თაბახიანი ოთხ კაპეიკად ოქრ-თაბახიანი რეგალ.

კონა საყმაწვილო მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შეორე შეესებული გამოცემა, სურათებით, ისყიდება იქვე, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად. (10—8)

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მადაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—20)

ვაჭრობა საღებავებით

ქავკასიის ამხანაგობისა (ბრაჭის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

საღებავები ხმელი და თხელი შეხავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება,** რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვინებლად. (70—68)

იგნლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ბრანდსბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშურებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, საჩეკეები, სამარილეები, კარჩიტის საფხეკები, უნაგირები კატისა და ქალისა; ადვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რეკოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაპსიულები, საფინგები, ნიჩბები, კატერპრუჭი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალჭეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიგულები, სოუსები‘ ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში № № 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—56)

ყმაწვილ-კაცს

რომელსაც გაუთავებია გიმნაზია და ერთი წელიწადი უმაღლეს სასწავლებელში ყოფილა, სურს იშოვოს ლათინური, ბერძნული და ფრანცუზული ენების

გაკვეთილები.

ადრესი: ჩარკეიანის წიგნის მაღაზიაში. (3—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 5 Октября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი